

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.11.2020


მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2020 წლის ოქტომბერი

ძირითადი შედეგები

- მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.6 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით შემცირდა 2.8 პროცენტით;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით შემცირდა 5.8 პროცენტით;
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 1.7 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 3.0 პროცენტით.

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.11.2020

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით 0.6 პროცენტით გაიზარდა. სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 0.8 პროცენტითი ზრდა. ამასთან, ფასები შემცირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 0.3 პროცენტით, ხოლო სასაწყობო მომსახურების ფასები გაიზარდა 0.1 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 2.8 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების შემცირება საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 33.4 პროცენტით. ამასთან, სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 4.0 პროცენტით, ხოლო დასაწყობებისა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურების ფასები 4.4 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის ოქტომბერში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	97.2	-2.81
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	104.0	3.11
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	66.6	-5.99
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	104.4	0.07

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.11.2020

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 5.8 პროცენტით. ფასების შემცირება დაფიქსირდა უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (-9.5 პროცენტი) და სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (-4.5 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის ოქტომბერში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	94.2	-5.78
61.2	უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	90.5	-5.57
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	95.5	-0.22

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.11.2020

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 1.7 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების შემცირება დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 5.9 პროცენტით. ამასთან, საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 0.05 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 3.0 პროცენტით. საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 6.0 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები შემცირდა 4.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის ოქტომბერში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	103.0	2.96
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	95.5	-1.21
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	106.0	4.16

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).

ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge